პროლეტარიებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

23 მარტი ხუთშაბათი 1972

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 69 (15282)

პარტიის გეგმები ხალხის გეგმეებია

სსრ კავშირის პროფკავშირთა XV ყრილობა

მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სახახლეში მუშაობას განაგრძობს საბჭოთა პროფკავშირების XV ყრილობა. 21 მარტის დილის სხდომაზე გრძელდებოდა საკავშირო პროფსაბჭოს და ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა განხილვა.

საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე, აუზვასმით აღნიშნა თავის გამოსვლაში უზბეკეთის პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ მ. ა. ზაიდოვმა, რუსი და ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხების დამსახურებით რესპუბლიკის დღეს აქვს განვითარებული მრეწველობა, სადაც არის ასამდე დარგი, დიდად განვითარებული სასოფლო-სამეურნეო წარმოება. ჩვენ დიდ და საპატიო საქმედ მიგვაჩნია, რომ შრომის სრულიად საკავშირო დანაწილებაში ვაწარმოებთ ბამბას მთელი ქვეყნის სახალხო მეურნეობისათვის. რესპუბლიკის მშრომელებმა ამოცანად დაისახეს ხუთწლედის დამლევისათვის 5.200 ათას ტონამდე გაზარდონ ბამბის წარმოება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება გორკის ოლქის საავტომობილო და ქიმიურ მრეწველობაში წარმოების ეფექტიანობის ამაღლების შესახებ ჩვენთვის ორგანიზატორული მუშაობის საფუძველი გახდა, განაცხადა ყრილობაზე გორკის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ მ. თ. შურავინმა. მან იოანაპარაკა იმაზე, თუ როგორ ვითარდება ოლქის ყველა საწარმოში წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის შეჯიბრება.

სამანდატო კომისიის მოხსენება გააკეთა მისმა თავმჯდომარემ ნ. ნ. რომანოვმა. მან თქვა, რომ პროფკავშირთა XV ყრილობაზე არჩეულია 4.925 დელეგატი, რომლებიც წარმოადგენენ პროფკავშირთა 98 მილიონზე მეტ წევრს. ეს 364-ით მეტია, ვიდრე იყო XIV ყრილობაზე, რაც იმის შედეგია, რომ საბჭოთა პროფკავშირების რიგები გაიზარდა. მოხსენებელმა აღნიშნა, რომ 2.849 დელეგატი ანუ მთელი შემადგენლობის 57,9 პროცენტი ყრილობაზე პირველად არის არჩეული.

სსრ კავშირის პროფესიული კავშირების XV ყრილობის დელეგატები ერთხმელვნად არიან არჩეული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები შედგენენ.

მომხსენებელმა განაცხადა, რომ ახლა ქალები სათავეში უდგანან 345 ათას პირველად პროფკავშირულ ორგანიზაციას, ყრილობის დელეგატთა შორის 40,2 პროცენტს ქალები შეადგენენ.

სამმობლოს წინაშე დამსახურებისათვის 3.012 დელეგატი დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით, 15 კაცი საბჭოთა კავშირის გმირია და 596 — სოციალისტური შრომის გმირი. დელეგატთა შორის არის 87 ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი.

კრასნოდარის მხარის სლავიანსკის რაიონის კოლმეურნეობა „კომუნიზმის გზის“ მექანიზებული რგოლის მერგოლურმა ნ. ა. სოსანმა იოანპარაკა იმ ცოცხალი ქმედითი შეჯიბრების შესახებ, რომელიც, გაიმართა 1972 წლის გეგმებისა და მეცხრე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის და რომელიც ფართოდება მხარის სოფლებში. მან აღნიშნა, თუ როგორ ლამაზდება ყუბანის მხარე.

შემდეგ გამოვიდა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე შ. ი. მუსაშვილი (სიტყვა იბეჭდება ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე).

ქვეყნის საწარმოო ძალების განლოთარებაში აღმოსავლეთი რაიონების განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ ყრილობაზე ილაპარაკა კრასნოიარსკის პროფკავშირთა სამხარეო საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ს. კოლინმა. მხარის მშრომელთა მეცადინეობა, აღნიშნა მან, ხმარდება ციმბირის ბუნებრივ სიმდიდრეთა ათვისებას. ამ მუშაობაში დიდ როლს ასრულებს პროფკავშირული აქტივი, რომელიც 400 ათასზე მეტ კაცს აერთიანებს.

ყრილობის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლებისათვის მებრძოლ პროფკავშირთა ფედერაციის აღმასკომის წევრის ნგუენ ვან ჩაუს გამოსვლას. მან განაცხადა, რომ მძლავრი საბჭოთა კავშირი მთელი პროგრესული კაცობრიობის სიამაყე, ჩვენი პლანეტის რევოლუციურ ხალხთა დასაყრდენია ბრძოლაში მშვიდობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის.

ნგუენ ვან ჩოამ სამხრეთ ვიეტნამის მუშათა კლასისა და მთელი ხალხის სახელით დიდი და გულწრფელი მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, მთავრობას, ხალხს უდიდესი და ეფექტიანი დახმარებისა და მხარდაჭერისათვის, რომელსაც ვიეტნამელ ხალხს უწევენ ბრძოლაში ამერიკელ აგრესორთა წინააღმდეგ, ეროვნული ხსნისათვის.

ყრილობის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს განცხადება „შეწყდეს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესია ინდოჩინეთში!“. განცხადებაში საბჭოთა პროფკავშირებს 98 მილიონი წევრის სახელით გადაჭრით გმობენ ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტთა აგრესიას ინდოჩინეთში და მოლიანად უჭერენ მხარს ვიეტნამელი, ლაოსელი და კამბოჯელი ხალხების სამართლიან ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, უფლებისათვის, რომ თვითონ გადაწყვიტონ თავიანთი სამომავლო საქმეები.

სსრ კავშირის პროფკავშირთა XV ყრილობამ მოუწოდა ყველა ქვეყნის მშრომელებსა და მათს პროფესიულ კავშირებს, ყველას, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა, თავისუფლება და დამოუკიდებლობა, რომ მტკიცედ იბრძოლონ ვიეტნამელი, ლაოსელი და კამბოჯელი ხალხების საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმის ჩარევის შეწყვეტისათვის.

დილის სხდომაზე სსრ კავშირის პროფკავშირთა XV ყრილობას მიესალმნენ ავრეთვე გერმანელთა თავისუფალი პროფკავშირების გაერთიანების ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარე კერბერტ ვარნკე, პოლონეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ვლადისლავ გრუშკი, საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალური მდივანი შორს სენი, პროფკავშირთა სრულიად აფრიკის ფედერაციის გენერალური მდივნის მოადგილე ამად ნ. დიაი, იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალური მდივანი ლუჩიანო ლამ, სრულიად უნგრეთის პროფკავშირთა საბჭოს გენერალური მდივანი შანდორ გა

პარტიის გეგმები ხალხის გეგმებია

(დასასრული)

მანქანათმშენებელთა მატერიალური და მორალური წახალისების დიდუნება, რომლებმაც 10, 25 და 40 წელი ინუშავეს საწარმოში.

სიტყვას ამბობს აზერბაიჯანის პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ზ. ი. ბუსმანოვი. მან ილაპარაკა რესპუბლიკის წარმატებებზე ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაში. მთელ თავის მიღწევებს, განაცხადა მან, აზერბაიჯანელი ხალხი უნდა უმადლოდეს კომუნისტურ პარტიას. ჩვენი ქვეყნის თავიანთუფლ და თანასწორფლებიან ერთა დიად კავშირს. მჭიდრო თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება ხალხთა დიადი ოჯახის ეროვნების კანონია სსრ კავშირში, რომლის შექმნის 50 წლისთავი წელს აღინიშნება.

ს ს ს ს XXIV ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო ხალხის სწავლა-განათლებას, ხაზგასმა აღინიშნა თავის გამოსვლაში განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ტ. პ. ია ნ ს ე ვ ა ს ა ვ ა ს ი. საბჭოთა ახალგაზრდობისათვის პარტიის ზრუნვის ახალი გამოვლინება იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და ხსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ამასწინანდელი დადგენილება სტუდენტთა და მოსწავლეთა მატერიალური და საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. სასწავლებლების პროფკავშირთა წინაშე დასახულია დიდი ამოცანები მოზარდ თაობის აღზრდის, კვალიფიციური კადრების მომზადების დარგში.

პროფკავშირთა XV ყრილობამ მიესალმნენ დელეგატები და სტუმრები: ს ტ ა ნ ი ს ლ ა ვ ი ნ ა — ფრანგელთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რომ ნ ი ი ნ ი — კორეის გაერთიანებული პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, ე ტ ი ე ნ ი ა ნ ი — ბულგარეთის პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, ბ. ბ ო ბ ო ვ ი — ჩეხოსლოვაკიის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს ადამიანების სამმართველოს სამსახურში ჩაყენების ზედამხედველობის მდივანი, ი ო ს ი ფ ი ა ნ ი — ბულგარეთის ტრანსპორტის ფედერაციის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ბ. ბ ა ბ ა ჯ ა ნ ი ა ნ ი — ინდოეთის ეროვნული ერთიანი ფრონტის წინადადებებს და მიაჩნიათ ისინი ეროვნული ეფუძველად ინდოჩინეთის პრობლემების მოწესრიგებისათვის.

საბჭოთა პროფკავშირების XV ყრილობის დელეგატები მოითხოვენ:

— დაუყოვნებლივ შეწყდეს ამერიკის ავიაციის საჰაერო თავდასხმები და ყველა სხვა საომარი აქცია სუვერენული სოციალისტური სახელმწიფოს — ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ;

— ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მისმა მოკავშირეებმა შეწყვიტონ აგრესიის ყოველგვარი აქციები, გაიყვანონ ჯარები სამხრეთ ვიეტნამიდან, ლაოსიდან, კამბოჯიდან, ინდოჩინეთის ხალხებს უფლება მისცენ თვითონ გადაწყვიტონ თავიანთი საშინაო საქმეები.

სსრ კავშირის პროფკავშირთა XV ყრილობა მოუწოდებს ყველა ქვეყნის მშრომელებსა და მათ პროფესიულ კავშირებს, ყველას, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა, თავისუფლება და დამოუკიდებლობა, გადაქრით იბრძოლონ ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის ხალხთა საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტების ჩარევის შეწყვეტისათვის.

საერთო ძალით ჩავფუშოთ აგრესორთა და მათ დამქაშთა ცდები დაარღვინონ ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის თავისუფლებისმოყვარე ხალხები!

ამერიკელო აგრესორებო, გაეცალეთ ინდოჩინეთს!

ვიეტნამის გმირი ხალხის, ლაოსისა და კამბოჯის მამაცი პატრიოტების სამართლიანი საქმე გაიმარჯვებს!

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის თ. ი. ბოსაშვილის გამოსვლა

ამხანაგო დელეგატებო! ჩვენი ქვეყნის პროფკავშირთა XV ყრილობა შეიკრიბა ლენინურ დღეებში, როცა სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით შეიარაღებული, კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ჯარშემა მჭიდროდ შეკავშირებული მთელი საბჭოთა ხალხი ფართო ფრონტით ეწევა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობას.

პროფკავშირები, როგორც ეს აღინიშნა თავის მკაფიო, შინაარსიან სიტყვაში ჩვენს ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა, პარტიის მიაჩნდა და მუდამ მიაჩნია თავის მძლავრ დასაყრდენად კომენისტიანთა ბრძოლაში. ეს დიდი ნდობა გვავალებს კიდევ უფრო აქტიურად მთელი პროფკავშირული მუშაობის დონე.

ჩვენ ყველამ, ყრილობის მონაწილეებმა, დიდი ყურადღებით მოვისმინეთ საკავშირო პროფსაბჭოს საანგარიშო მოხსენება, რომელიც გააკეთა ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე შელეპინმა. მან ჩვენს წინაშე გადაშალა საბჭოთა პროფკავშირების მრავალმხრივი საქმიანობის, კომუნისტურ მშენებლობაში მათი უდიდესი როლის, მათი განუყოფელი მზრდელი ფუნქციების ფართოდ ეფეკტიანი ფორმების ძიების, ეკონომიკურ-ეკონომიკურ-ეკონომიკურ-

დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტი

მსოფლიო საზოგადოებრიობა და პრესა უდიდესი ინტერესით გამოეხმაურა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მიერ პროფკავშირთა XV ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვას. მსოფლიოს გაზეთების უმრავლესობამ გამოაქვეყნა სიტყვის სრული ტექსტი ან მისი დაწვრილებითი შინაარსი.

ხარედაქციო სტატიებსა და კომენტარებში აღნიშნულია, რომ ლ. ი. ბრეჟნევმა ჩამოაყალიბა სკკპ XXIV ყრილობის მიერ შემუშავებული კომუნისტური მშენებლობის პროგრამის თანმიმდევრული განხორციელების კონკრეტული ამოცანები.

პოლიტიკურ მოღვაწეებს, გაზეთების წამყვან მიმომხილველებს ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა მიაჩნიათ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტად. ისინი აღნიშნავენ, რომ სიტყვაში ღრმად არის შეფასებული „თანამედროვე საერთაშორისო ვითარება, აღნიშნულია მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების იმ პროგრამის განხორციელების პრაქტიკული ღონისძიებანი, რომელიც ყველა ხალხის ინტერესებს შეესაბამება.

„საბჭოთა კავშირის მშვიდობის პროგრამა მსოფლიო პოლიტიკის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია“, „სკკპ XXIV ყრილობის დიადი პროგრამა თანმიმდევრულად ხორციელდება“, „მშვიდობისა და უშიშროების აქტიური დაცვა“, „სსრ კავშირი ადგას სოციალიზმის, ხალხთა თავისუფლებისა და მშვიდობის დაცვის შტაკეტი და გაუხარელ კურსს“ — ასეთი სათაურებით ბეჭდავენ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, სოციალისტური თანამეგობრობის სხვა სახელმწიფოთა გაზეთები.

ბერლინის „ნოიეს დოიჩლანდი“, ისევე როგორც ბევრი სხვა გაზეთი, გამოყოფს ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებს იმის შესახებ, რომ სოციალისტური ქვეყნების მშვიდობიანმა ინიციატივებმა შეუწყვეს ხელი ისეთი ვითარების შექმნას, როცა შესაძლებელი ხდება პრაქტიკულად განვიხილოთ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხები.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა ბრანდტმა ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა დაახასიათა როგორც დოკუმენტი, რომელიც „დიდ ყურადღებას იმსახურებს“. ბრანდტმა ყურადღება დაუთმო ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებს ომის მძიმე წლების შესახებ და შენიშნავს, რომ მძიმე წარსული სრულიადაც არ არის დავიწყებული დაბრკოლება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ორმხრივი ურთიერთობის განვითარებისათვის.

დასავლეთ გერმანიის გაზეთების უმრავლესობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის სიტყვა მიაჩნია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და სოციალისტურ ქვეყნებს შორის ურთიერთობის მოწესრიგების მოწინააღმდეგეთა სერიოზულ გფრთხილებად. ისინი განსაკუთრებით ეხებიან სიტყვის იმ ნაწილს, რომელიც ეძღვნება საბჭოთა კავშირთან და პოლონეთთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულებათა რატიფიკაციის პრობლემას. როგორც „ნოიე რაინ-ციტუნგი“ წერს, ლ. ი. ბრეჟნევმა პასუხი გასცა ამათ, ვისაც რატიფიკაციის ჩაფუშვის იმედი აქვს.

ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ამერიკის შეერთებული შტატების პრესა, რადიო და ტელევიზია, „ვაშინგტონ პოსტში“ სიტყვის შინაარსი პირველ გვერდზე დაიბეჭდა. ამერიკის გაზეთებში ხაზგასმულია ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირს ესმის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობას მთელი საერთაშორისო ვითარებისათვის, რომ სსრ კავშირი მომავალ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებას უდგება „საქმიანი, რეალისტური პოზიციებიდან.

ვაშინგტონის პოლიტიკურ წრეებში ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა მიაჩნიათ „საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის დიდმნიშვნელოვან მიმოხილვად“. პრესა იუწყება, რომ „სპეციალისტები სახელმწიფო დეპარტამენტში მეტად ყურადღებით სწავლობენ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას“.

ინგლისის პრესა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის სიტყვას ახასიათებს, როგორც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ გამოსვლას ამ ბოლო ხანს. „ბრეჟნევი მიმოიხილავს მსოფლიოს მდგომარეობას“ — წერს სათაურში გაზეთი „ტაიმსი“, რომელიც სიტყვის საგარეო-პოლიტიკური ნაწილის სრულ ტექსტს ბეჭდავს.

„ტაიმსი“ და სხვა გაზეთები აღნიშნავენ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებს ომის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირთან და პოლონეთთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულებათა რატიფიკაციას, გამოყოფენ მის სიტყვებს, რომ ურყევია სოციალისტური ქვეყნების ომისშემდგომი საზღვრები.

(საკლესი, 21 მარტი).

ლევან ჯაფარიძე



ბიოლოგიურმა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა. ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის მეცნიერთა ანატომიისა და ფიზიოლოგიის განყოფილების გამგე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სკკპ წევრი 1941 წლიდან. პროფესორი ლევან ივანეს-ძე ჯაფარიძე.

ლ. ჯაფარიძე დაიბადა 1905 წელს თბილისში ექიმის ოჯახში. საშუალო განათლება თელავში მიიღო. 1927 წელს დამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტი.

სამეცნიერო მოღვაწეობა დაიწყო ჯერ კიდევ სტუდენტობისას თბილისის ბოტანიკურ ბაღში მეცნარეთა ანატომიისა და ფიზიოლოგიის კაბინეტში. 1930 წელს სათავეში ჩაუდგა თბილისის ბოტანიკური ბაღის მეცნარეთა ანატომიისა და ფიზიოლოგიის ლაბორატორიას — შემდეგში ბოტანიკის ინსტიტუტის მეცნარეთა ანატომიისა და ფიზიოლოგიის განყოფილებას, რომლის უცვლელი ხელმძღვანელი იყო სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

ლ. ჯაფარიძის სამეცნიეროკვლევითი შრომები ძირითადად შეეხება მეცნარეთა ანატომიისა და ფიზიოლოგიის სფეროს, ხემეცნარეებში ქსოვილების ანატომიურ დაკავშირებულ პროცესებს, რეგენერაციის პისტოლოგიასა და ფიზიოლოგიას, მეცნარეთა სქესის საკითხებს. მეცნარეებში სქესობრივი დიმორფიზმის ფიზიოლოგიურ და ბიოქიმიურ საკითხებზე ფუნდამენტური ნაშრომისათვის მას 1952 წელს მიენიჭა ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. ამ საკითხებით იყო გატაცებული სიცოცხლის ბოლომდე. ამავე საკითხებს მიუძღვნა მან თავისი ორტომიანი მონოგრაფია „სქესი მეცნარეებში“. ლ. ჯაფარიძემ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ჩვენს რესპუბლიკაში ასეთი მნიშვნელოვანი ბიოლოგიური დარგების განვითარების საქმეში, როგორიც არის მეცნარეთა ანატომია და ფიზიოლოგია. იგი იყო კარგი ორგანიზატორი, კადრების გულისხმიერი აღმზრდელი, მრავალფეროვანი სამეცნიერო კვლევის ხელმძღვანელი.

ლ. ჯაფარიძე გარდა დასახელებულისა, 100-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, მისი რამდენიმე მონოგრაფია და სახელმძღვანელო ცნობილია როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთაც.

სამეცნიერო მოღვაწეობას ლ. ჯაფარიძე შესანიშნავად უთავსებდა მუშაობას რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში (საქალაქო-ტექნიკური ინსტიტუტი, ფარმაკოლოგიური ინსტიტუტი, თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი და სხვ.). ამასთან იგი ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას.

სამშობლოს წინაშე ლ. ჯაფარიძის დამსახურება ღირსეულად დააფასეს პარტიამ და მთავრობამ — იგი დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენითა და მედლებით.

აკადემიკოს ლ. ჯაფარიძეს ღირსეული ადგილი უჭირავს მეცნიერთა მოწინავე რიგებში. მთელი მისი უმწიკლო სიცოცხლე თავდაბლობის, საქმისადმი უანგარო სამსახურის, მაღალი კულტურის, ადამიანებთან ურთიერთობაში უბრალოების მაგალითი იყო. ამასთან იგი გამორჩეული იყო დიდი მომთხოვნელობით საკუთარი თავისა და თანამშრომლების მიმართ.

ლევან ჯაფარიძის ნათელი სახე სამუდამოდ დარჩება მისი მოსწავლეების, მეგობრების, მოწაფეებისა და მეცნიერული საზოგადოებრიობის ხსოვნაში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტი; საქართველოს ბოტანიკური საზოგადოების პრეზიდიუმი.

დისკრიმინაციის წინააღმდეგ



ნიუ-იორკი. 22 მარტი. (საკლესი). სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ი. ა. მალიკმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ვალდასმის გაუგზავნა წერილი, რომელშიც მისი ყურადღება მიაპყრო იმას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს დღემდე არ გაუგზავნია ყველა ქვეყნისათვის გენერალური მდივნის წერილი და გენერალური ასამბლეის რეზოლუცია განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოწვევის საკითხზე.

ეს აშკარად დისკრიმინაციული მიდგომა სახელმწიფოებისადმი, რომლებიც არ არიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრები, მიზნად ისახავს, რომ განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მომზადებაში არ მიაღებინონ მონაწილეობა მთელ რიგ ქვეყნებს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებისა და განიარაღებისათვის ბრძოლაში.

ასეთი ქვეყნების რიცხვს ეკუთვნიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა და ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკა. დისკრიმინაცია ამ სახელმწიფოების მიმართ სეროზულ ზიანს მიაყენებდა დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემების გადაჭრას, რომელთა გადასაწყვეტად უნდა იქნეს მოწვეული განიარაღების მსოფლიო კონფერენცია.

ი. ა. მალიკმა იმედი გამოთქვა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის წერილი და რეზოლუცია განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოწვევის შესახებ გაეგზავნება მსოფლიოს უკლებლივ ყველა სახელმწიფოს ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

ნიუ-იორკი. 22 მარტი. (საკლესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციისთვის ბრძოლის საერთაშორისო დღე იმით აღნიშნა, რომ მოწყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აპარტეიდის პოლიტიკის სპეციალური კომიტეტისა და სხვა იმ ორგანოების გაერთიანებული სხდომა, რომლებიც რასიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე მუშაობენ.

ეს დღე ყოველწლიურად აღინიშნება 1960 წლის 21 მარტს სამხრეთ აფრიკის ქალაქ შარპვილში (იოჰანესბურგის გარეუბანი) მომხდარი სისხლისმღვრელი ამბების მოსაგონებლად. ამ ქალაქში რასისტმა ხელისუფლებამ დაუნდობლად დახვრიტეს აფრიკელთა დემონსტრაცია, რომლებიც პროტესტს აცხადებდნენ არაადამიანური კანონების წინააღმდეგ.

გაერთიანებულ სხდომაზე გამოდიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ჯ. ვალდჰაიმი.

მასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციისათვის ბრძოლის საერთაშორისო დღის გამო გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მრავალი წერილი მიიღო.

ვაშინგტონი — პირველადი არჩევნები ამერიკაში

22 მარტი. (საკლესი). შეერთებულ შტატებში მიეწყო პირველადი არჩევნების მორიგი მესამე რაუნდი. ამჯერად არჩევნები მიმდინარეობდა ერთ-ერთ უდიდეს შტატში — ილინოისში (ჩრდილოეთი ამერიკა).

დემოკრატებისაგან იბრძოდა პრეზიდენტობაზე — სენატორი ე. მაკკი და ყოფილი სენატორი ი. მაკარტი, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ 1968 წლის საარჩევნო კამპანიაში. რესპუბლიკელთა შორის არჩევნები არ მოწყობილა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ილინოისში პირველ ადგილზე გამოვიდა ე. მაკი, რომელმაც, წინასწარი არასრული მონაცემებით, მიიღო დემოკრატ ამომრჩეველთა ხმების 63 პროცენტი. ი. მაკარტიმ შეაგროვა ხმების 37 პროცენტი.

ე. მაკკის მომხრენი აცხადებენ, რომ შედეგები, რომლებსაც სენატორმა მიაღწია ამ პირველადს არჩევნებში, „მნიშვნელოვან წარმატებად“ შეიძლება ჩაითვალოს ნიუ-ჰემპშირის შტატის არჩევნებში „სამხედრო-ეკონომიურ და პოლიტიკურ დახმარებას და მხარდაჭერას უწევდა ტელ-ავივს.

მან ჩაფუშა ეგვიპტისა და სხვა ქვეყნების ყველა გულწრფელი ღონისძიება, მიმართული ახლო აღმოსავლეთის კრიზისის „პოლიტიკური მოწესრიგებისაკენ“.

„ბატონი სისკო, — განაგრძობს გაზეთი, — განზრახავ ამახინჯებს არაბებისადმი საბჭოთა კავშირის უანგარო დახმარების ბუნებას. სისკოსთვის კარგად არის ცნობილი, რომ საბჭოთა კავშირი ყოველგვარი პირობების დაუთმელად უწევს დახმარებას აგრესიის მსხვერპლთ მათი თხოვნით და ეს დახმარება დიდმნიშვნელოვანი ელემენტია მათს ბრძოლაში. ეს დახმარება რომ არ ჰქონდეთ, არაბები უიარაღონი იქნებოდნენ ისრაელის შეიარაღებული აგრესიის წინაშე“.

ლონდონი — ექსტრემისტები ძალებს აკოწიწებენ

22 მარტი. (საკლესი). უკიდურესი მემარჯვენე ელემენტების აქტივიზაცია ოლსტერში აქ სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. გაზეთი „სანნი“ ოლსტერელ ექსტრემისტთა ლიდერს უილიამ კრეიგს „ხანშიშ კაცს“ უწოდებს, რომელმაც გასულ შაბათს თავის მომხრეთა მასობრივი თავყრილობა გამართა და აგრესიული სიტყვა წარმოთქვა.

დაუმეტრა რა ელემენტარული დემოკრატიული უფლებებისათვის მებრძოლ კათოლიკეებს, მან განაცხადა, „მტერს მოვსპობთ“. ირლანდიის მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მოძრაობის ერთ-ერთმა მოღვაწემ მ. ფერერმა თქვა: „ეს აშკარა მოწოდებაა ხოცვა-ყლეტისათვის“, ჩვენ თქვა მან, ჩრდილოეთ ირლანდიაში ფაშისტური მოძრაობის აღმავლობის მოწმენი ვართ.

კრეიგის მიერ შექმნილი ორგანიზაცია „ავანგარდი“, ზოგიერთი ლონდონელი მიმომხილველის აზრით, მხოლოდ და მხოლოდ შირმაა, რომ შენიღბონ პროტესტანტი არამზადების არალეგალური ნახევრად გასამხედროებული შენაერთები, რომლებიც მასობრივად არბევენ კათოლიკურ უბნებს. თვით კრეიგი, რომელიც ოლსტერის ფიურერის როლზე აცხადებს პრეტენზიას, მიტინგზე გამოჩნდა ფინფერების ხმაზე და მოტოციკლეტისტთა ესკორტის თანხლებით.

ზოგიერთი მიმომხილველი გამოთქვამს აზრს, რომ ოლსტერს მოელის ახალი სისხლისმღვრელი შეტაკებანი. პროტესტანტი ექსტრემისტები არ მალავენ, რომ მზად არიან „ლოზუნგის ჩისაცემად“. ირლანდიის შენახვაზე ოფიციალური აკრძალვის მიუხედავად, ულტრების ხელში ახლა ასი ათასზე მეტი ერთეული ცეცხლსასროლი იარაღია, რომელიც შეუძლიათ საჭირო დროს ამოქმედონ.

მემარჯვენენი ამტკიცებენ თავიანთ ორგანიზაციებს. ლონდონის კურთხევით ოლსტერის ეკლეზიოდებული თავდაცვის პოლკის შემადგენლობა, რომელშიც ძირითადად პროტესტანტი ექსტრემისტები, შედიან, ამ ბოლო თვეებში 5-დან 8 ათასამდე გაიზარდა.

გაზეთი „მორნინგ სტარი“ მკითხველთა ყურადღებას მიაპყრობს მემარჯვენეთა კიდევ ერთი მეომარი ორგანიზაციის — „ოლსტერელ მოხალისეთა“ საქმიანობას, რომელებიც ოცნებობენ ჩრდილოეთ ირლანდიაში რასისტული სამხრეთ აფრიკის მსგავსი სახელმწიფო შექმნან.

ბონი — მემარჯვენეთა მანევრები

22 მარტი. (საკლესი). დასავლეთ გერმანელმა ნეონაციონალისტებმა უარი თქვეს მონაწილეობა მიეღოთ ბადენ-ვიურტემბერგის მხარის ლანდტაგის არჩევნებში, რომელიც ამა წლის 23 აპრილს გაიმართება.

როგორც ცნობილია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკურ წრეებში ამ არჩევნებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ისეთ ვითარებაში, როცა ქვეყანაში მწვავე ბრძოლა გაჩაღდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ საბჭოთა კავშირთან და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასთან დადებულ ხელშეკრულებათა მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის.

მეთვალყურეთა აზრით, ნეონაციონალისტურ ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიას სურს განუმტკიცოს პოზიციები ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირს.

ჟენევა

მშვიდობიანი მიზნებით

22 მარტი. (საკლესი). ინდოეთის მთავრობა არ აპირებს აწარმოოს ატომური იარაღი, განაცხადა პარლამენტში ინდოეთის თავდაცვის მინისტრმა ჯაგჯივან რამმა.

მინისტრმა კვლავ დაადასტურა, რომ ინდოეთი ატომურ ენერგიას გამოიყენებს მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებით.

ვაშინგტონი — ოფიციალური ვიზიტი

ოფიციალურ ვიზიტად ჩავიდა თურქეთის პრემიერ-მინისტრი ნეჯათ ერიმი. იგი მოლაპარაკებას გამართავს პრეზიდენტ რ. ნიქსონთან, სახელმწიფო მდივან უ. როჯერსთან და სხვა ოფიციალურ მოღვაწეებთან.

● **ინგლისის საგარეო საქმეთა** მინისტრი დუგლას-ჰიუმი ვიზიტად ჩავიდა ისრაელში. იგი გამართავს მოლაპარაკებას ისრაელის პრემიერ-მინისტრ შეიერთან და საგარეო საქმეთა მინისტრ ებანთან. ჩასვლის შემდეგ დუგლას-ჰიუმმა თავი აარიდა პასუხს კითხვაზე იმის შესახებ, რომ ინგლისში გეგმავენ სამი წყალქვეშა ნავის მშენებლობას ისრაელისათვის, ავრეთვე იმის თაობაზე, რომ ინგლისი აპირებს მიაწოდოს სხვა იარაღი ტელ-ავივს.

ფაქტები

● **გერმანელთა კომუნისტური პარტიის** გამგეობამ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ყველა მშრომელს მოუწოდა საპირველმაისო მიტინგები და დემონსტრაციები მოაწყონ ლოზუნგებით საბჭოთა კავშირთან და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულებათა რატიფიკაციისათვის, უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე სრულიად ევროპის თათბირის სასურველოდ მოწვევისათვის.

● **ლაიფციგში დაიბურა** ტრადიციული საერთაშორისო საგაჭრო ბაზრობა. ბაზრობაში მონაწილეობდა მსოფლიოს 60 ქვეყნის 9.225 ფირმა და საწარმო. ბაზრობ პავილიონებს ეწვიენენ 492 ქვეყნიდან ჩამოსულნი სტუმრები.

● **იტალიის მილიონ 700 ათასმა** სასოფლო-სამეურნეო მუშამ და მლოდიანახელვარმა მშენებელმა გაფიცა გამოაცხადა. ისინი მოითხოვენ ხელფასის მომატებას, სამუშაოთი უზრუნველყოფას და შრომის პირობების გაუმჯობესებას. პროფკავშირების მოწოდებით სოლიდარობის ხანმოკლე გაფიცვები დაიწყეს ფოლადის, ქიმიური, კვებისა და საფეიერო მრეწველობის მშრომელებმა. გაფიცულთა საერთო რიცხვმა უკვე მიაღწია შვიდ მილიონ კაცს.

● **ამერიკის კონგრესის სენატმა** მოიწონა რეზოლუცია, რომელიც მთავრობას მოუწოდებს ოფიციალურად ცნოს ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკა. ანალოგიური რეზოლუცია შეტანილია ავრეთვე წარმომადგენელთა პალატის კანსახილველად.

● **ვაშინგტონი ოფიციალურ** ვიზიტად ჩავიდა თურქეთის პრემიერ-მინისტრი ნეჯათ ერიმი. იგი მოლაპარაკებას გამართავს პრეზიდენტ რ. ნიქსონთან, სახელმწიფო მდივან უ. როჯერსთან და სხვა ოფიციალურ მოღვაწეებთან.

● **ინგლისის საგარეო საქმეთა** მინისტრი დუგლას-ჰიუმი ვიზიტად ჩავიდა ისრაელში. იგი გამართავს მოლაპარაკებას ისრაელის პრემიერ-მინისტრ შეიერთან და საგარეო საქმეთა მინისტრ ებანთან. ჩასვლის შემდეგ დუგლას-ჰიუმმა თავი აარიდა პასუხს კითხვაზე იმის შესახებ, რომ ინგლისში გეგმავენ სამი წყალქვეშა ნავის მშენებლობას ისრაელისათვის, ავრეთვე იმის თაობაზე, რომ ინგლისი აპირებს მიაწოდოს სხვა იარაღი ტელ-ავივს.

ჯაკარტა — მაგულობა ინტერვენტთა ზარალი

22 მარტი. (საკლესი). ამერიკის მხედრობინი კვლავ იმედოვნებს, რომ ჰაერიდან დარტყმების გაძლიერების გზით შეასუსტებს ინდოჩინეთის ქვეყნების პატრიოტთა შეტევას. ამ ბოლო დღეებში ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციამ მასირებულად დაბომბა სამხრეთ ვიეტნამის, ლაოსის, კამბოჯის განთავისუფლებული რაიონები.

ამერიკის სარდლობა თავის ავიაციას ძირითადად თავს უყრის იმ რაიონების წინააღმდეგ, სადაც განთავისუფლების ძალები საგრძნობ ზარალს აყენებენ აგრესორებისა და მათი დამჭაშების ჯარებს.

„ბ-52“ მძიმე ბომბდამშენები თავს დაესხნენ სამხრეთ ვიეტნამის ამაუს ხეობას, ლაოსელ პატრიოტთა პოზიციებს ლონგჩენგის ბაზის რაიონში. ამერიკის შეერთებული შტატების ავიაცია განაგრძობდა კამბოჯის გაძლიერებულ დაბომბვას. მავრამ დაბომბვის გაძლიერებასთან ერთად გრძელდება ჩამოგდებული ამერიკული თვითმფრინავების რიცხვი. მარტო ორ დღეში — 18 და 19 მარტს — ლაოსელმა პატრიოტებმა ჩამოაგდეს 5 ცის მეკობრე, რის შედეგადაც ამერიკის შეერთებული შტატების ჩამოგდებული თვითმფრინავების რიცხვი ამ რაიონში ახლა შეადგენს 2.323.

ინდოჩინეთის ქვეყნებიდან კვლავ მოდის ცნობები პატრიოტული ძალების წარმატებების შესახებ ბრძოლაში ამერიკელი აგრესორების და მათი დამჭაშების წინააღმდეგ.

როგორც სამხრეთ ვიეტნამიდან იუწყებიან, 20 მარტს განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების მებრძოლებმა არტილერის მძლავრი ცეცხლი დაუშინეს საიგონის ჯარების ბაზას, რომელიც დემილიტარიზებული ზონის მახლობლად მდებარეობს. დღეს პატრიოტებმა თავს დაესხნენ სამხრეთ ვიეტნამის რეინჯერების ბაზას ტაინინის პროვინციაში. ორივე შემთხვევაში მოწინააღმდეგემ დიდი მატერიალური ზარალი განიცადა და ბევრი ხალხი დაკარგა.

ახალი ცხარე ბრძოლები გაჩაღდა სამხრეთ ვიეტნამის ქალაქ ბუეს მახლობლად „ბ-52“ მძიმე ბომბდამშენების თითქმის ყოველდღიური თავდასხმების მიუხედავად, პატრიოტებს მტკიცედ უპყრიათ ხელი ინიციატივა ამ რაიონში.

ჭმერმა პატრიოტებმა დღეს დილით ცეცხლი დაუშინეს მოწინააღმდეგის პოზიციებს ბნომპენსა და მის გარეუბნებში. თავს დაესხნენ აგრეთვე პონტენტონგის აეროდრომს, რომელიც მთავრობის ჯარების სამხედრო-საჰაერო ბაზაა, ერთი დღით ადრე განთავისუფლების ძალების მებრძოლებმა აააფეთქეს ტყვიაწამლის საწყობი, რომელიც საიგონის მარინენტულ ჯარებს ეკუთვნოდა ქალაქ ნეაკლუონგის მახლობლად. კამბოჯის დედაქალაქის რაიონში პატრიოტთა გაბედული თავდასხმების შედეგად მნიშვნელოვნად დაირღვა მოწინააღმდეგის კომუნიკაციები.

ლაოსში არ წყდება ბრძოლები ლონგჩენგის ბაზისათვის — საჰაშუშო-სადესანტო ცენტრისათვის, სადაც ამერიკელ მრჩეველთა ხელმძღვანელობით ამზადებენ გენერალ ვანგ ბაოს „სპეციალურ ძალებს“. დღეს პატრიოტებმა კვლავ ძლიერი არტილერიის ცეცხლი დაუშინეს ამ ბაზას, მწყობრიდან გამოიყვანეს მტრის ბევრი ჯარისკაცი და ოფიცერი.

გაზაფხული იაპონიის მშრომელთა თავიანთი უფლებებისათვის შეკავშირებული ბრძოლის დროა. პირველად გამოვიდნენ სტუდენტები, მას შემდეგ რაც ტოკიოს ვახედას უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ სწავლის ქირა 200 პროცენტით გაზარდა. უნივერსიტეტში სწავლა ფუფუნება გახდა, მისი უფლება ამიერიდან მხოლოდ ძალიან მდიდრებს აქვთ. სწავლის ქირის გადიდება, სამედიცინო მომსახურებაზე საფოსტო გზავნილებებზე, რკინიგზით მგზავრობაზე ფასების ზრდა იმ დეპრესიის შედეგია, რომელსაც ახლა იაპონიის ეკონომიკა განიცდის.

სურათზე: ტოკიოს უნივერსიტეტის სტუდენტების საპროტესტო დემონსტრაცია.

ფოტო ჯაპან პრეს-საკლესისა.

ჯაკარტა — საგჭოთა კავშირ-ეგვიპტის მეგობრობის კვირეული

ჯაკარტა, 22 მარტი. საკლესის კორესპონდენტი ბ. ტუგუშევი გვაცნობინებს: გარბიის საგუბერნატოროს ადმინისტრაციულ ცენტრში — ქალაქ ტანტაში ხაზგასმით ვითარებაში გაიხსნა საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის მეგობრობის კვირეული. სახალხო თეატრის შენობა სადღესასწაულოდაა მორთული.

დამსწრეთა ტაშის გრიალში გარბიის გუბერნატორმა მაჰმუდ მუსამედ ზაკიმ და სსრ კავშირის ელჩმა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში ვ. მ. ვინოგრადოვმა თეატრის ფოიეში გახსნეს გამოფენები: „სსრ კავშირი არაბ ხალხთა მეგობარია“ და „სსრ კავშირი, კულტურა და ცხოვრება“.

„უდიდეს სიამოვნებას მგვრის, რომ სწორედ ჩვენი საგუბერნატორია არჩეული საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის მეგობრობის კვირეულის მოწყობის ადგილად. ჩვენ ეამაყობთ დიდ საბჭოთა ხალხთან მეგობრობით და ყოველნაირად განვმტკიცებთ და განვავითარებთ ჩვენს ურთიერთობას სსრ კავშირთან“ — განაცხადა მეგობრობის მიტინგზე მ. მ. ზაკიმ. „ჩვენი ამოცანა, — ხაზგასმით აღნიშნა მან, — ის არის, რომ ეს მეგობრობა, რომელსაც საფუძვლად უდევს ერთობლივი ანტიიმპერიალისტური ბრძოლის პრინციპები, კიდევ უფრო განვითარდეს ეგვიპტელი და საბჭოთა ხალხების საკეთილდღეოდ“. მ. მ. ზაკიმ გულწრფელი მადლობა გადაუხადა საბჭოთა ხალხს იმისათვის, რომ უანგაროდ ეხმარება ეგვიპტეს პოლიტიკურ და ეკონომიურ დარგებში, ახალი ცხოვრების მშენებლობაში და ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისათვის სამართლიან ბრძოლაში.

მიტინგის შემდეგ გამართულ კონცერტში დიდი წარმატება ხვდა ქართულ ეოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლს „ივერიას“. მაყურებლებმა მჭუხარე ტაშით დაჯილდოვეს ყაბარდო-მალყარეთის ასსრ დამსახურებული არტისტის ნ. გასტაშევის საშემსრულებლო ოსტატობა, ტემპერამენტიანი ქარ-თული ცეკვები ანსამბლის მოცეკვავეთა ჯგუფის შესრულებით, რომელსაც ს. ხელაშვილი ხელმძღვანელობს. საღამოს მონაწილენი განსაკუთრებით გულთბილად მიესალმნენ ანსამბლის სოლისტებს ნ. ჭიჭინაძესა და ნ. გასტაშევას, რომლებმაც შეასრულეს რამდენიმე პოპულარული სიმღერა არაბულ ენაზე.

შემდეგ გამოვიდა გარბიის საგუბერნატოროს ხალხური ცეკვის თვითმოქმედი ანსამბლი.

კვირეულის პროგრამით ტანტასა და გარბიის საგუბერნატოროს სხვა ქალაქებში გაიმართება საბჭოთა ფილმების ფესტივალი. მაყურებლები ნახავენ კინოფილმებს „ცოცხალი ლენინი“, „ოქტომბრის დღეებში“, „ჯავშნოსანი პოტიომკინი“, „დიდი სამამულო“, „ჩაპაევი“, „ბრძოლა ვოლგაზე“, „გამარჯობა, ნილოსო“, „მოუხელთებელი შურისმაძიებელნი“ და სხვა.

გარდა ამისა, გაიხსნება „კიდევ ორი გამოფენა: საბჭოთა გრაფიკისა და ბავშვთა ნახატების გამოფენები.

ტოკიო — ნინაალმდეგობის მიუხედავად

22 მარტი. (საკლესი). იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც დიდ სინანულს გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში 18 მარტს მოეწყო მორიგი ატომური აფეთქება.

საგარეო საქმეთა სამინისტრო ხაზს უსვამს, რომ აფეთქება მოხდა იაპონიის დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად. ახალი ატომური აფეთქება, ნათქვამია განცხადებაში, განხორციელდა იმის მიუხედავად, რომ იაპონელი ხალხი და მთელი კაცობრიობა ესწრაფვის მსოფლიო მშვიდობას.

აფეთქება აშუქყიანებს ატმოსფეროს და აშკარა საფრთხეს უქმნის ჩინეთის უშუალო მეზობლის იაპონიის მოსახლეობას.

ნიუ-იორკი — ზელი ზელს ბანს...

22 მარტი. (საკლესი). შეერთებულ შტატებში წინასაარჩევნო კამპანიის ბაშლის კვალობაზე მყღავნდება სულ უფრო მეტი ფაქტები, რომლებიც მოწმობენ ორი მთავარი ბურჟუაზიული პარტიის — რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიების — უმჯიდროეს კავშირს დიდ ბიზნესთან.

ერთი ასეთი ამბავი მოუთხრო მკითხველს უკანასკნელ ნომერში ჟურნალმა „ლაიფმა“, რომელიც რესპუბლიკელებს ბრალად დად

საქართველოს ჟთა-ბაჯში

ტურისტები თელავში

თელავი. (საკ. კორ.). მომზადებული შეხვდა 1972 წლის სეზონს საკავშირო მარშრუტის თელავის ტურისტული ბაზა. თელავს წელს პირველნი ესტუმრნენ ტურისტები მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან, ხარკოვიდან და სსრ კავშირის სხვა ქალაქებიდან. ტურისტთა შორის არიან მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაკები, მაღაროელები, მწვნებლები, სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეები.

თელავის ტურისტულ ბაზაში ამჟამად ყოველდღიურად იმყოფება 120 კაცი, რომლებიც 3-4 დღის განმავლობაში ეცნობიან კახეთის ისტორიულ ძეგლებს, მუზეუმებს, სამრეწველო ობიექტებს, საზოგადოებრივ მეურნეობებს, ისვენებენ ბუნების წიაღში, რის შემდეგაც გზას განაგრძობენ საკავშირო მარშრუტის გზებით შავი ზღვის მიმართულებით.

ზრუნვა მუშაებისა და მოსამსახურეებისათვის

22 მარტს საგამოფენო დარბაზში ბარათაშვილის სახელობის ხიდკვეშ გაიხსნა სპეციალისტების, სპეციალისტებისა და დამცავი სამარჯვების გამოფენა, რომელიც ეძღვნება სსრ კავშირის პროფკავშირთა XV ყრილობას. გამოფენა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ო. ცანავამ.

აქ წარმოდგენილია საზამთრო და საზაფხულო სპეციალისტები, სპეციალისტებისა და დამცავი სამარჯვები, რომლებიც განკუთვნილია მეტალურგიული, საავტომობილო მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუშაებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისათვის, მშენებლებისათვის, მედიცინის მუშაკებისათვის, აგრეთვე საერთო დანიშნულების სპეციალისტებისა და სპეციფეხსაცმელი, რომელიც რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების სამრეწველო საწარმოებმა და ორგანიზაციებმა გამოუშვეს.

გამოფენა სამ დღეს იმუშაგებს, რის შემდეგაც გაიმართება ექსპონატების განხილვა და შეფასება.

გამოფენის გახსნას ესწრებოდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მსუბუქი და კვების მრეწველობის განყოფილების გამგე ო. აბესაძე, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრი ა. ხუროძე, რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი მ. მეგრელიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს უფროსი მ. კოდუა. (საქინფორმი).

მიეძღვნა დიად თარიღს

სამეცნიერო სესია

რუსთავი. (საკ. კორ.). № 1 სამშენებლო ტრესტის პარტიულმა კომიტეტმა, საზოგადოება „ცოდნამ“ და თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურმა ინსტიტუტმა მოაწყეს სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა პროფესორმა ი. მირცხულავამ. შემდეგ წაკითხულ იქნა მოხსენებები: „საბჭოთა კავშირის შექმნა და განვითარება ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების ზეიმია“, „საქართველოს კომპარტია სსრ კავშირის შექმნისათვის ბრძოლაში“, „სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის ეკონომიური საფუძვლები“.

მოხსენებები წაიკითხეს დოცენტმა ვ. მგალობლიშვილმა, პროფესორებმა ვ. ესაიაშვილმა და რ. წულუკიძემ.

□

ახალი პროფილაქტორიუმი

ზუგდიდი. (საკ. კორ.). სარაიონთაშორისო ავტოტექმომსახურების საგზურს ახლახან ახალი ობიექტი შეემატა. სოფელ ინგირის ტერიტორიაზე მწყობრში ჩადგა ავტოპროფილაქტორიუმი, რომელსაც აქვს საოუნქე, საშრობი, სამღებრო, მომდინარე შეკეთების, გაზშესადურებელი და საეულკანიზაციო საამქროები.

ახალი ობიექტი აღჭურვილია თანამედროვე დანადგარებით და დაკომპლექტებულია კვალიფიციური ხელოსან-შემკეთებლებით.

პროფილაქტორიუმი მომსახურების უწევს მსუბუქი მანქანების ინდივიდუალურ მფლობელებს.

იალაღებზე

ფოტოტიუდი ბ. დადვაძისა.

ამინდი

დასავლეთ საქართველოს სამხრეთ რაიონებში მოსალოდნელია მცირე ნალექი. ბარში დღისით იქნება 9-14 გრადუსი, სითბო, ღამით 1 გრადუსი ყინვა-4 გრადუსი სითბო, მთაში დღისით 2-7 გრადუსი სითბო, ღამით 2-6 გრადუსი ყინვა.

აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ რაიონებში მოსალოდნელია მცირე ნალექი, ბარში დღისით 4-9 გრადუსი სითბო, ღამით 1 გრადუსი სითბო-4 გრადუსი ყინვა, მთაში დღისით 1 გრადუსი ყინვა-3 გრადუსი სითბო, ღამით 9-14 გრადუსი ყინვა.

თბილისში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა უნალექოდ, დღისით 6-8 გრადუსი სითბო, ღამით — ნული გრადუსი.

სოფელში წერილი მოვიდა

აღმოჩენილია გმირის საფლავი

ბაისსენი, ძვირფასო მკითხველო! „კომუნისტის“ 1965 წლის 25 სექტემბრის, 1967 წლის 4 აგვისისა და 1969 წლის 12 თებერვლის ნომრებში დაბეჭდილი წერილები დაწერილნი მოგვითხრობდნენ. იმასზე, რომ სამი ქართველი ჯარისკაცის, წყალტუბოს რაიონის სამი მკვიდრის — საბჭოთა კავშირის გმირის, გუბაოული ლავრენტი ავალიანის, ცხუკურული სემლარ შალამბერიძისა და მუხიანელი თეოფილე კუკუსიძის საფლავები აღმოჩენილ იქნა სულ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ადგილებში, მაგრამ ერთიან საბჭოთა უკრაინის მიწაზე.

ისიც გაიხსენე, რომ იმ ქარცვეულიან დღეთა ცხელი სუნთქვა ახლაც აღწევს ჩვენამდე და არც არასოდეს წაიშლება. ბევრი რამ გავიგეთ აქამდე უცნობ გმირებზე, ჩვენს სახელოვან თანამემამულეებზე. მაგრამ ჯერ კიდევ ყველაფერი როდია ამეტყველებული.

მარშან იმავე წყალტუბოს რაიონის გვიშტიბის სასოფლო საბჭოში მოვიდა კიდევ ერთი ცნობა — საბჭოთა კავშირის მიწაზე განისვენებს ქართველი მეომარი, კაპიტანი აკაკი გიორგის-ძე კინწურაშვილი.

ეს უკვე ამ სულ წელიწადში ერთი რაიონის ოთხი მკვიდრის საფლავი იქნა აღმოჩენილი.

სამამული ის რომ დაიწყო, გვიშტიბელი აკაკი კინწურაშვილი, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორიდიული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი იყო, მაშინვე ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში. ბრძოლით, გმირობით გაცხადკროვნებული გზებით გაიარა ქართველმა ვაჟკაცმა ჩრდილოეთი კავკასია, ყირიმი, უკრაინა, ბოლოს, 1944 წლის გაზაფხულზე მოლდავეთში იბრძოდა... და ყველგან თავი გამოიჩინა როგორც მამაცმა და უშიშარმა მეომარმა. 1943 წლის 27 სექტემბერს იგი წითელი ვარსკვლავის ორი ორდენით დაჯილდოდეს, ხოლო 1944 წლის 4 აპრილს — სამამულო ომის II ხარისხის, ორდენით.

მაგრამ ვერ აისრულა ვაჟკაცმა გულის წადილი. ვერ მივიდა ბერლინამდე და ვერ მოაწერა თავისი გვარი რაიხსტაგის კედლებს. ლაჯილდოებიდან ექვსიოდე დღის შემდეგ გმირთა სიკვდილით დაეცა მოლდავეთის მიწაზე.

იქ, შორეულ მოლდავეთში, ორეულ რაიონის სოფელ ბოლოგანში, რომლის განთავისუფლებასაც შესწირა სიცოცხლე ქართველმა გმირმა, არის ძმათა სასაფლაო. აქ აღმართულ ძეგლზე, რომლის ქვეშ 52 თანამოელელი განისვენებს, პირველად აღმოკენილია კაპიტან აკაკი კინწურაშვილის სახელი.

დიდი ხანია ეძებდნენ თურმე მათი მიწის განმათავისუფლებელი ქართველი კაპიტანის ოჯახის წევრებს სოფელ ბოლოგანის სკოლის პიონერები.

და, აი, გასული წლის ბოლოს მათ მიაკვლიეს კაპიტანის ქალიშვილს, წერილი გამოუგზავნეს წყალტუბოს რაის ფაბრიკის ლაბორანტს ეთერ აკაკის ასულ კინწურაშვილს.

— თქვენი მამა, — იწერებოდნენ პიონერები, — ჩვენს სოფელშია დასაფლავებული. მთელი სოფელი წმიდად ინახავს მის ნათელ სხოვნას. ჩვენი სკოლის პიონერული რაზმს მიკუთვნებული აქვს თქვენი მამის აკაკი კინწურაშვილის სახელი.

მიმდინარე წელს ბოლოგანიდან კვლავ მოვიდა წერილი. სოფლის თავკაცები იწვევდნენ აკაკი კინწურაშვილის ოჯახის წევრებს.

ანა, უამისოდაც ვინ შეაკავებდა უდრეოდ დაღუპული ვაჟკაცის ოჯახს. „აკაკი კინწურაშვილის საფლავის სანახავად გაემგზავრნენ მეუღლე ლოლა, ქალიშვილი ეთერი, შვილიშვილი აკაკი, სიძე ვახტანგ ქაჯაია, ბიძა ვიქტორ თოდუა და სხვა ახლო ნათესავები. წავიდნენ და თან წაიღეს ერთი მუჭა ქართული მიწა.

მოლდაველმა მეგობრებმა გულთბილი, ამაღელვებელი შეხვედრა მოუწყეს და გულიდა მსჯინიძოობა გაუწიეს საქართველოდან ჩასულებს.

ძმათა სასაფლაზე ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა. გმირთა სისხლით მორწყულ მიწაზე გამარჯვების სხივარულით აღსავსე და განცდილის გამო მწუხარებით გამსჭვალული ცრემლები დაიღვარა.

მოლდაველმა მეგობრებმა სთხოვეს გმირის ოჯახს გამარჯვების დღესასწაულზე, ყოველ 9 მაისს, ეწვიონ მათ.

დიახაც ეწვევიან. კვლავაც მოინახულებენ აკაკის მოკრძალებულ საფლავს. კვლავაც სულითა და გულით დალოცავენ იმ ადამიანებს, რომლებიც ასე სათუთად ინახავენ მათ მიწის განმათავისუფლებელი მეომრის ხსოვნას.

შ. ჯავახაძე.
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ადამიანი და გუნება

ზველი... საოპერაციო მაგიდაზე

ეს ამბავი ახლახან მოხდა. შიმშილი და სიცივე რომ ვეღარ აიტანეს, უმწეო ცხოველებმა — შვილმა და ირემმა მთიდან სოფლის მიხადგომებისაკენ გამოსწიეს...

ქედის რაიონის სოფელ პირველ მაისთან შემოხვევით წააწყდა შველს თევზის მარაგის დაცვისა და თევზჭერის რეგულირების აჭარის სახელმწიფო ინსპექციის ინსპექტორი გივი ქადიძე. ვიღაც უსულგულოს ფეხში დეეჭრა უმწეო ცხოველი.

გივიმ იგი ჯერ სახლში მიიყვანა, ჭრილობა სახელდახელოდ შეუხვია, დამშეულ პირუტყვს საკმელი მისცა და „ბინა“ მიუჩინა. მაგრამ რადგან ღია ჭრილობა შინ მკურნალობის შედეგად არ გამრთელდა, გადაწყვეტა ექიმისათვის მიემართა. გ. ქადიძემ შველი ქედის რაიონის ვეტექმი მ. ბერძენიშვილს მიუყვანა. იმდენად რთული და მძიმე იყო ჭრილობა, რომ საჭირო გახდა ფეხის მოკვეთა. ოპერაცია გაკეთეს ქირურგმა დ. დიდმანიძემ, ექიმმა რ. დიასამიძემ და მ. ბერძენიშვილმა.

ოპერაციის შემდეგ რამდენიმე დღე გავიდა. შველს მოკვეთილ ფეხზე ჭრილობა მოურჩა. მართალია, იგი სამფეხია, მაგრამ თავისუფლად დადის, მიირთმევს ბალახს და წყალს, მხიარულად ეთამაშება ვეტექიმის გოგონას — მეხუთე კლასის მოსწავლე ნინა ბერძენიშვილს. შველი ეზოში მარტო როდია. ნინა ბუნების ქმმაგია — აქვე დატიან კურდღლები, გალიაში ჩიკკოკებენ ფრინველები.

ა. ანანიძე.

სურათზე: დაჭრილ შველს ოპერაციას უკეთებენ (მარცხნიდან მარჯვნივ) დ. დიდმანიძე, რ. დიასამიძე და მ. ბერძენიშვილი.

ფოტო ა. ბათმანაძისა.

ტრიბუნაზე სხედან მეთვალყურეები

ევროპის პირველობა ფეხბურთში

საბჭოთა კავშირის ნაკრების ოთხმა მატჩმა იუგოსლავიაში ადგილობრივი სპეციალისტების საყოველთაო ინტერესი გამოიწვია. ეს გასაგებიც არის. 30 აპრილს ბელგრადში ხომ უკვე ევროპის პირველობის მეოთხედფინალური მატჩია დანიშნული.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ფეხბურთელების მატჩებს ესწრებოდა ყველა წამყვანი ექსპერტი... იუგოსლავიის ნაკრების ხელმძღვანელ ვ. ბოშკოვის გარდა. მან პრესაში განაცხადა: „საბჭოთა ფეხბურთელები ჩვენი სტუმრები არიან, ოფიციალური მატჩებისათვის ემზადებიან. ვერაფერი სტუმართმოყვარეობა იქნება, მათ ვუთვალთვალო“.

ასეა თუ ისე, ჩვენს ნაკრებს მეთვალყურეები არ აკლდა. იუგოსლავიელმა სპეციალისტებმა მიიჩნიეს, რომ მათთან სტუმრად იმყოფებოდა საბჭოთა ნაკრების „ერთი ვარიანტი“.

იუგოსლავიელმა მიმომხილველებმა თავისებურად, საინტერესოდ დაახასიათეს ჩვენი ნაკრების ფეხბურთელები. ეს დახასიათება ჩვენი მკითხველებისთვისაც არ იქნება ინტერესს მოკლებული.

ბელგრადის „სპორტის“ მიმომხილველ ს. ვუიოვიჩის აზრით, უაღრესად გამოცდილი მეკარე ბანიკოვი შესანიშნავია კარის ხაზზე, მაგრამ შეცდომებს უშვებს კარიდან გამოსვლისას. მეორე მეკარე ოლეინიკი მეტისმეტად ნიჭიერია, ახოვანი, მაგრამ აშკარად აკლია სკოლა. ეს გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ოლეინიკი შედარებით უმნიშვნელო გუნდში თამაშობს“. შემდეგ მიმომხილველი აკეთებს დასკვნას, რომ 30 აპრილს იუგოსლავიელების წინააღმდეგ რუდაკოვი ითამაშებს, ბანიკოვი კი მეორე მეკარე იქნება.

დაცვის უძლიერეს მოთამაშედ ვუიოვიჩი ნაკრების ახალგაზდელ კაპიტანს ხურციოვს თვლის, მას „განსაკუთრებული მონაცემებისა და მდიდარი ხელოვნებისა“ მქონე ოსტატს უწოდებს, რომელმაც „ბევრი იცის“. იგი აჭებს ძოშუაშვილს, რომელმაც „მცველისათვის ძალიან ბევრი რამ იცის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც შეტევაში მონაწილეობს. ჩვენ კარგად გვახსოვს მისი თამაში ბელგრადში, როდესაც იგი წარმატებით აღუდგა წინ ჯარის“.

კაკლიჩნი ჩინებული მცველია, მაგრამ „იქმნება შთაბეჭდილება, რომ ძნელი არ არის მისთვის გვერდის აცდა „დრიბლინგით“. ისტომინი „პატარა ტანის,“ მაგრამ დიდი გულის მცველია“. ხშირად მიდის წინ, ეცემა პონომარიოვი სხვა ფეხბურთელებს გამოიყენებს. მას მიაჩნია, რომ საბჭოთა ნახევარმცველები თამაშის მანერით ბრაზილიელებს ბაძავენ.

თავდასხმაში თამამობდნენ ია ბოლოვანი, კოპაიკინი და შეკრჩნკო. მათგან უძლიერესად ვეიოვიჩი თვლის შევჩენკოს, რომელსაც „ინდივიდუალისტს“ უწოდებს. მიმომხილველი ზოგ მსგავსებას და ბევრ განსხვავებას ნახულობს შევჩენკოსა და გამოჩენილ იუგოსლავიელ თავდამსხმელ სკობლარს შორის— „თამაშისას საკმაოდ მიზეზიანი, მაგრამ სასიფათო თავდასხმელია“. იმტრიანი კარგია როგორც ფრთაზე თამაშისას, ისე მაშინაც, როცა ცენტრში შედის. „ფრიად სწრაფია“. შედარებით ნაკლები შთაბეჭდილება დასტოვა ცენტრალურმა თავდასხმელმა კოპეიკინმა.

ბელგრადის „სპორტმა“ სხვა ნომერში მთელი გვერდი (!) დაუთმო იმავე მიმომხილველის სლავოლიუბ ვუიოვიჩის ინტერვიუს საბჭოთა ნაკრების კაპიტან მურთაზ ხურცილავასთან.

ყველა იუგოსლავიელი მიმომხილველი მოელის, რომ საბჭოთა ნაკრები ბელგრადში საკმაოდ შეცვლილი შემადგენლობით ჩავა, რომ ეს ცვლილებები ძირითადად შეეხება ნახევარდაცვას და თავდასხმას.

გ. ბამრეკელი.

ბ. მეტრეველი — უძლიერესი

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ ჩოგბურთელთა ალექსანდრიის საერთაშორისო ტურნირზე, რომელიც გამოირჩეოდა შემადგენლობათა სიძლიერით, სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონმა ა. მეტრეველმა ბაქოელ ს. ლიხაჩოვთან ერთად პირველი ადგილი დაიკავა წყვილთა ასპარეზობაში.

შემდეგ გაიმართა ერთეულთა ფინალი, სადაც ა. მეტრეველის მეტოქე იყო ავსტრალიელი ი. ფლეტჩერი. წარმატება ჩვენს თანამემამულეს ხვდა 9:7, 6:2, 6:4.

მოსკოვის „დინამო“ — ნახევარფინალში

ბრძოლებმა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშება ფეხბურთში. საბჭოთა კავშირიდან ამ პოპულარულ ტურნირში გამოდის მოსკოვის „დინამო“.

დინამოელებმა წარმატებით განვლეს თასისათვის ბრძოლის მნიშვნელოვანი ეტაპები. ბოლო მატჩი მათ ჰქონდათ ბელგრადში იუგოსლავიის ცნობილ საკლუბო გუნდთან—„ცრვენა ზვეზდასთან“ და გაიმარჯვეს 2:1. ეს იყო პირველი მეოთხედფინალური შეხვედრა. თუ ვინ მოიპოვებდა ნახევარფინალის საგზურს, ეს ღამოკიდებული იყო ამ გუნდების მეორე მეოთხედფინალურ თამაშზე.

ეს მატჩი შედგა გუშინ ტაშკენტში და დამთავრდა ფრედ 1:1. დინამოელები ნახევარფინალში გავიდნენ.

ოლიმპიადა მეოთხედფინალური

ბუენოს სოუსში გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების უკანასკნელი პირველი მეოთხედფინალური მატჩი ფეხბურთში. თამამობდნენ დედაქალაქის გუნდები „სპარტაკი“ და „ლოკომოტივი“. გაიმარჯვეს სპარტაკელებმა 2:1.

თუ ვინ გავა ნახევარფინალში, ამას ცხადყოფს მეორე მეოთხედფინალური მატჩები, რომლებიც თბილისში, სოჩსა და ხოსტაში გაიმართება 25 მარტს.

ველომრგოლთა სტარტი

ალ ჟირში სტარტი აიღო ტრადიციულმა ველოსრბოლამ, მონაწილეობს 16 ქვეყნის ასზე მეტი სპორტსმენი. პირველ ეტაპზე წარმატება ხვდა ცნობილ პოლონელ ველოსმბრდოს რ. შურკოვსკის, რომელმაც 98 კილომეტრი გაიარა 2 საათში, 21 წუთსა და 32 წამში. საბჭოთა სპორტსმენი ნ. გორელოვი მესამე იყო.

სომხეთის სსრ ფინანსთა სამინისტროს კოლეგია და თანამშრომელთა კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყებიან საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის

არჩილ ვარლამის-ძე ჟირაქაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე გაზეთის უძველესი მუშაკი, ჟურნალისტი

სტეფანე თეოდორეს-ძე ელიავა

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ლუხუმის ნაპირებზე

ამბროლაური. (საკ. კორ.). რაჭის სამთო-მეტალურგიული კომბინატი ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი მსხვილი პერსპექტიული წარმოებაა. ახალ ხუთწლედში აქ ბევრი რამ გაკეთდება. გათვალისწინებულია კომბინატის მთლიანი რეკონსტრუქცია, აშენდება თეთრი დარიშხანის ახალი ქარხანა, საცდელ-სამრეწველო საამქრო და სხვა ქიმიური ობიექტები.

ახლა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ჯებირების შენებლობა მდინარე ლუხუმზე, დაიწყო აგრეთვე საქვაბე კომპლექსის აგება.

ავარია მოხდა, ვინ არის დამნაშავე?

კვალის დაფარვა უნდოდა...

საღამოს რვა საათზე ტელეფონის ზარი აწკრიალდა. 26 კომისრის რაიონის მილიციის პირველი ქვეგანყოფილების სამორიგეოში მოქალაქე რეკავდა: „ვოლგა“, რომლის ნომერი ვერ დავიმახსოვრე, ქალს დაეჯახა, მოფერმა დაზარალებული მანქანაში ჩასვა და მოაკურცხლა. მოხდარი ავტოავარიის შესახებ აცნობეს ქალაქის მილიციის სამორიგეოს. შეეგზა ოპერატიული ჯგუფი ქალაქის მორიგის მაიორ შ. ბოკუჩავას, ავარიის მორიგის უფროს ლეიტენანტ ა. დუნდუას და მომკვლევის უფროს ლეიტენანტ შ. ბაციკაძის შემადგენლობით. შეამოწმეს საავადმყოფოები, მაგრამ დაშავებული ქალი არსად არ აღმოჩნდა.

ღამის პირველის ნახევარზე მილიციის ქალაქის სამორიგეოში № 1 სამედიცინო სანიტარული ნაწილიდან ეცემმა შ. მეტრეველმა დარეკა: საავადმყოფოში მოიყვანეს დასახიჩრებული მოქალაქე ანა ოსების ასული მკრტჩიანი, რომელიც ხერხემლის მალის, მენჯის ძვლების მტეხლობისა და თავის არეში ჭრილობის გამო გარდაიცვალა. მილიციის ოპერატიულმა ჯგუფმა დადგინა, რომ დაახლოებით საღამოს 8 საათზე ოცხელის ქუჩაზე ავტომანქანა „ვოლგა“, რომელიც ქარიგით მიქრიდა და რომელსაც მართავდა მფლობელი—თბილისის № 3 კვებვაჭრობის № 31 მაღაზიის დირექტორის მოადგილე ბენო რუბენის-ძე სომხიშვილი, დაეჯახა ანა ოსების ასულ მკრტჩიანს მძღოლმა დაზარალებული ჩასვა მანქანაში და სახლში წაიყვანა. შემდეგ იგი მივიდა თბილისის № 1 სანიტარულ-სამედიცინო ნაწილში და წამოიყვანა ექიმი ვლადიმერ კალოიანი. მძღოლმა და ექიმმა, როგორც თვითონ ისინი ლაპარაკობენ, დაახლოებით საღამოს 10 საათზე დახახიჩრებული წაიყვანეს ზემოთ დასახელებულ საავადმყოფოში, სადაც მას უმკურნალა მორიგე ექიმმა შ. მეტრეველმა. ავარიის შესახებ საავადმყოფოდან მილიციას დასახიჩრებულის გარდაცვალების შემდეგ შეატყობინეს.

ბ. გორელი.

დისერტაციების დაცვა

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტი

(ახალი კორპუსი, № 205 აუდიტორია)

5 აპრილს, დღის 2 საათზე **შოთა კირილეს-ძე ჩოგოვაძე** ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„საკვები პროდუქტების საქონელმცოდნეობის თეორიული საფუძვლები“.**

12 აპრილს, დღის 2 საათზე **დიმიტრი მიხეილის-ძე ბაქრაძე** ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„საქართველოს ჩაის პლანტაციებისა და ვენახების მორწყვის ეკონომიური ეფექტიანობა“.**

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 1, № 107 აუდიტორია)

21 აპრილს, დღის 2 საათზე **გულნარა ალექსანდრეს ასული კიკნაძე** ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციის თემაზე: **„შუა საუკუნეების ლითონის ჭურჭელი (XVI-XVIII სს).**

21 აპრილს, დღის 4 საათზე **მზია ვიქტორის ასული იაშვილი** ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ქართული მრავალხმიანობის საწყისები“.**

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ტელევიზია

23 მარტი

პირველი პროგრამით

11.05 — კინონარკვევი „შენ წინ გზაა“, 11.15 — მხატვრული ფილმი „უსასრულო გზები“, 12.30 — „მეცხრე ხუთწლედის მისამართებზე“ (გადმოცემა სვერდლოვსკიდან), 13.00 — კონცერტი ახალგაზრდა შემსრულებელთა მონაწილეობით (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.00 — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „მდინარე და ცა“ (პრემიერა), 17.05 — ამბიტურიენტთა დასახმარებლად — ლექცია ქიმიაში, 17.50 — ახალი ამბები, 17.55 — განცხადებები, 18.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „მულტკერანი“, 18.15 — მოსწავლეთათვის — „საპატიო სტუმარი“, 19.05 — ციკლიდან „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებები — მოქმედებაში“. გადაცემა „ახალგაზრდული საქმეები“, 19.25 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 19.50 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. სამეცნიერო კინოპროგრამა „ცოდნა“, 20.30 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.00 — ფერადი ტელევიზია. კონცერტი საბჭოთა კავშირის პროფკავშირების XV ყრილობის დელეგატებისა და სტუმრებისათვის (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.00 — საგელევიზიო მხატვრული ფილმი „დიდი გადასარბენი“ (პრემიერა).

მეორე პროგრამით

18.20 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია მხაზველობით გეომეტრიაში, 19.20 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია მასალათა გამძლეობაში, 19.50 — მხატვრული ფილმი „შეწყალების უფლების გარეშე“ (მეორე სერია).

24 მარტი

პირველი პროგრამით

10.40 — ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედების კონცერტის ტრანსლაცია კრემლის ყრილობათა სასახლიდან, 11.30 — კინონარკვევი „დიდი გზა“, 12.00 — პოლონური საგელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ოთხი ტანკისტი და ძაღლი“. XVIII და XIX სერიები. (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.30 — „გზა მომხმარებლისაკენ“, საგელევიზიო ნარკვევი (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.30 — სსრკ აკადემიური გუნდის კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.05 — „ჰორიზონტი“ (გადმოცემა ლენინგრადიდან), 16.35 — აბიტურიენტთა დასახმარებლად — ლექცია ქართულ ენაში, 17.20 — აბიტურიენტთა დასახმარებლად — ლექცია ფიზიკაში, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი — „ქვეშიანი კონცხის მფლობელი“, 18.25 — მოსწავლეთათვის — „ხუთწლედების ბიოგრაფია“ — მესამე ხუთწლედი, 18.45 — „გადავაქციოთ მეცხოველეობა რენტაბელურ დარგად“, 19.15 „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 19.40 — „ბრძოლის გზით“, ბრაზილიის კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავი (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — „კანონიერების სადარაჯოზე“, 20.25 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. 1. „საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში“ დოკუმენტური ფილმი — „უკრაინა“, 2. მუსიკალური პროგრამა, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ფერადი ტელევიზია. „მინიატიურების საგელევიზიო თეატრი“ „13 სკამი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 00.05 — საერთაშორისო ტურნირი მხატვრულ ტანვარჯიშში. (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეორე პროგრამით

18.20 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია თეორიულ მექანიკაში, 19.20 — განცხადებები, 19.25 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია სკკპ ისტორიაში, 20.10 — მხატვრული ფილმი „ქალაქური რომანსი“.

თეატრები

23 მარტი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — აიდა (მე-5 აბონ. მე-2 წარმოდგენა): **რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — გიადი ბიგვა; **რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი** — მოულოდნელი სტუმარი; **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — ხსოვნა გულისა; **ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — სიმღერა თბილისზე.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

რედაქტორის მოადგილე
ბ. თათარიშვილი.

„კომუნისტი“ 380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივ ნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

კომუნისტი ინდექს 66443 უე 02584

ხელ. ↓3 IX-ის გამომცემლობის სტამბა. 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.